სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/3

(ოქმი N2)

ქ. ბათუმი 22 თებერვალი 2022 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის შემადგენლობისა და დასაქმებულთა ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^7 მუხლის 1-ლი პუნქტის და ამავე კანონის 35^4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

1. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შემადგენლობა და დასაქმებულთა ანაზღაურების ოდენობა თანდართული სახით; (დანართი N1)

2. აპარატის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს დაემატოს თანდართული ფუნქცია-მოვალეობები; (დანართი N2)

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 25 იანვრის N01-01/03 (ოქმი N1) გადაწყვეტილებით განსაზღვრული მრჩეველთა საბჭოს აპარატის შემადგენლობა და დასაქმებულთა ანაზღაურების ოდენობა;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2022 წლის 01 მარტიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი

დანართი N1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის შემადგენლობა და დასაქმებულთა ანაზღაურების ოდენობა

N	**პოზიცია**	**რაოდენობა**	**დასაქმებულთა ანაზღაურება**	**სულ თვეში**
1	მრჩეველთა საბჭოს აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი	1	2650	2650
2	მრჩეველთა საბჭოს აპარატის საქმისწარმოების მენეჯერი	1	2100	2100
3	ფინანსური კონსულტანტი	1	800	800
	ჯამი			5550

დანართი N2

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებში ცვლილებები და დამატებები

მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობებს დაემატოს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები:

საქმისწარმოების მენეჯერის ნაწილში:

1. სოციალური ქსელების ადმინისტირება;
2. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასახვის კოორდინაცია;
3. მრჩეველთა საბჭოს მედია კონტენტის მართვა, დამუშავება, დაარქივება;
4. მრჩეველთა საბჭოს სხდომების, კონფერენციების, შეხვედრების, საზოგადოებრივი მოსმენების ორგანიზება;
5. სხდომების შედეგების მიხედვით მასალების დარიგება/დაგზავნა შესაბამისი პირებისთვის;
6. მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსების ადმინისტრირება;
7. საზოგადოებასთან კომუნიკაციის და უკუკავშირის პროცესების მართვა;
8. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების, საზოგადოებრივი მოსმენების ორგანიზება;
9. აპარატის რომელიმე თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში მისი ფუნქციების შესრულება;

სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერის ნაწილში:

1. მრჩეველთა საბჭოს მიერ გამოცხადებული კონკურსების ადმინისტრირება;
2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის და უკუკავშირის პროცესების მართვა;
3. მრჩეველთა საბჭოს სხდომების, კონფერენციების, შეხვედრების, საზოგადოებრივი მოსმენების ორგანიზება;
4. მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმების წარმოება;
5. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით პროცესების სამართლებრივი ადმინისტრირება;
6. აპარატის რომელიმე თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში, კომპეტენციის ფარგლებში მისი ფუნქციების შესრულება;